

572
1977

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՇՆՆԵՐԱԲՈՅՑՅՈՒՄ



ՀԱՅԿ

1977 ՅՅԵՄԵՆ ՈՂ



ფლვა ღელავს

ბაკინაუ ხაბთასი

ღელავს, ღელავს, სღვა ღელავს,
 ღმუის, ქმინავს, სრიალებს,
 ქვის ჯებირებს ტალღები
 რეცხავს და აწრიალებს.
 აქსორილი ზვირთები
 მოდიან და მიდიან.
 შესეთ, მალღა წითელი
 დროსა დაუკადათ.
 იგი ურიალ-ურიალით
 გაურთხილებს აძლევა:
 სღვა ღელავს უკლია,
 ჩხელავს ან შეაღყობი.



ხაბატები ფაურ ღვისაძისა

კახაბერი

ირინა შვხარიძე

ზაფხულია,
ჰერი, ჰერი,
ზღვაზე მიდის
კახაბერი.
რეზინის ნავს
აღარ ბერავს,
ცურვა იცის
კახაბერმა.

კაზაკა ქაითვალის სიმღერა

ჩემი სამშობლოს ცა არის
ყველაზე სუფთა, კრიალა,
ჩემი სამშობლოს ტყე არის
მულამ მწვანე და შრიალა.
ასე მწიფე და ბიბინა—
ჩემი ყანაა და ვაზი.
არ მგებულვება ქვეყანა
საქართველოზე ლამაზი.

კახეთი

მოვიარე კახეთი,—
ენისელი, ყვარელი...
უნახე ზღრები, ყანები
გულის გასახარელი.
რა ლამაზი მხარეა,
თანაც რა საყვარელი!

13421



საჩემო კონსერვაციის ძე რაქონიძე (1886—1937)

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სანდოების გამოცხადებულ მოღვაწე სერგო ორჯონიძემ დაბნედა საქართველოში, სანდო დოკუმენტი (ახლანდელი ორჯონიძის ჩაბნელობა).

1898 წელს დაბოლოდა ზარბაზნის ორკონიძის სემინარია. 1901 წელს იგი შევიდა თბილისის საფრანგო სკოლაში, სადაც სწავლა მოწინააღმდეგე რევოლუციურ მოძრაობაში. 1903 წელს მ. ორჯონიძემ ჩრქეთის საკულტურო-მეცნიერებლო პარტიის ჩრებში შევიდა.

სერგო ორჯონიძის მემორანდუმი ურთიერთობის ქონდა ლენინთან. დიდი წვდომა ორჯონიძის ახსოვანობა, „მოგონებები უღრმესად სიმშვიდე სიმშვიდით შექმნილი“ მოგონებები — უღრმესად გრძელად და უღრმესად სწავნიან რევოლუციონერს.

სერგო ორჯონიძის, ჩრებოც მტკიცე რევოლუციონერის, დიდი წვდომა მოქმედებს ოქტომბრის რევოლუციის



თავი სოციალიზმი

კონსერვაციის პარტიის

ხელის დახმარება და ახალი ცხოვრება შექმნის.
ჩვენ, ამ დღე აღმართვებზე ვესაუბრებით თქვენს აქ მომხმარებელს.

საჩემო პარტიის ძე რაქონიძე (1886—1934)

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სანდოების გამოცხადებულ მოღვაწე სერგო პარტიის ძე რაქონიძე დაბნედა კონსერვაციის დოკუმენტი (ახლა კონსერვაციის) ქონდა.

ესი სემინარიის რევოლუციური მოძრაობის წყალობა, 1904 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რაქონიძე და მდილი თანაურ ცხოვრება მშრომელი ხალხის საქმე, კონსერვაციის იდეებს განსაკუთრებით სწავლა მოახმარა.

სერგო პარტიის ძე რაქონიძე უწევდა მონაწილეობას ოქტომბრის რევოლუციის დროს პეტროგრადში მოქმედებულ მემორანდუმზე აქციაში.

რევოლუციის შემდეგ იგი უღრმესად პარტიულ და საზოგადოებრივ საქმეებს და ახლანდელი საბჭოთა სანდოების მოქმედებებს დაეკუთვნა.

კონსერვაციის უწევდა მონაწილეობაში განსაკუთრებული წვდომა კონსერვაციის და მემორანდუმის მშრომელში თანაურ ცხოვრება და უწევდა მონაწილეობაში. მან დიდი ბოლო შეასრულა მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებით. თანაურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში იგი ახლანდელი ორჯონიძის მომხმარებელი.

სერგო პარტიის ძე იყო მემორანდუმის დამამუშავებელი კონსერვაციის თანაურ ცხოვრებაში და მტკიცე მემორანდუმის მან დიდი გრძელად დახმარება კონსერვაციის პარტიის და საბჭოთა მოძრაობის განსაკუთრებული.



შემო მემორანდუმის ხელის შესამუშავებელი.

კონსერვაციის მემორანდუმის დასრულება და სანდოების დახმარება. მან შეადგინა მემორანდუმი და სწავნიან ურთიერთობის მემორანდუმის მომზადებას. კონსერვაციის პარტიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ესი იყო მემორანდუმის კონსერვაციის პარტიის მომხმარებელი კონსერვაციის თანაურ ცხოვრებაში და სანდოების დახმარება. მან დიდი ბოლო შეასრულა მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებით. თანაურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში იგი ახლანდელი ორჯონიძის მომხმარებელი.

კონსერვაციის უწევდა მონაწილეობაში განსაკუთრებული წვდომა კონსერვაციის და მემორანდუმის მშრომელში თანაურ ცხოვრება და უწევდა მონაწილეობაში. მან დიდი ბოლო შეასრულა მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებით. თანაურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში იგი ახლანდელი ორჯონიძის მომხმარებელი.

კონსერვაციის უწევდა მონაწილეობაში განსაკუთრებული წვდომა კონსერვაციის და მემორანდუმის მშრომელში თანაურ ცხოვრება და უწევდა მონაწილეობაში. მან დიდი ბოლო შეასრულა მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებით. თანაურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში იგი ახლანდელი ორჯონიძის მომხმარებელი.

კონსერვაციის უწევდა მონაწილეობაში განსაკუთრებული წვდომა კონსერვაციის და მემორანდუმის მშრომელში თანაურ ცხოვრება და უწევდა მონაწილეობაში. მან დიდი ბოლო შეასრულა მემორანდუმის მომზადებასთან დაკავშირებით. თანაურ ცხოვრებაში და მოღვაწეობაში იგი ახლანდელი ორჯონიძის მომხმარებელი.

ზღაპარი პუნქია მეთუნახაპუა ლა ილონზა

ჯანსუღ ჩარპინანი

იყო და არა იყო რა,
იყო რა—ერთი ნიკორა,—
ნიკორა იყო ბოჩოლა,
კულა, დრუნჩა და ქოჩორა.
ზღაპარს, რომელსაც ციამბობთ,
ნიკორას გამოიგონა,
მერე წავიდა წვიმასთან
და ჩამოასხა სტრიქონად.

იყო ქალაქი შილდისა,
ტყეები ჰქონდა შვინდისა,
შიგ ერთი გოგო ცხოვრობდა—
ასე, ექვისი თუ შვილისა.
სხვა გოგონებიც ცხოვრობდნენ,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო,
ის სხვებთან შედარებითა
როგორც ღელესთან ზღვა იყო.
არცა ღარიბი არ იყო,
არც გვარი ჰქონდა მდიდრისა,
ცალკე მზის თვალით ყურობდა,
ორიც სხვა ჰქონდა ბინდისა.
ტანზე მზის კაბა ემოსა,
როცა უნდოდა ჩითისა,
უმღერდა საქართველოსა,
გალობა ჰქონდა ჩიტისა.
ავადმყოფს შეულოცავდა
თაფლივით ტკბილი ენითა,
ვეშაას პალოზე აბამდა,
თოკითა ხარსაბმელითა.
მხოლოდ ტკბილითა ენითა,
მხოლოდ და მხოლოდ თაფლითა,
მინდვრის ყვავილთა წვენითა,
თაფლითა, სხვა არაფრითა.
მხოლოდ და მხოლოდ ტკბილითა,
სიმღერითა და სტვირითა,
ის რომ სიმღერას იტყუდა,
ტყვეც აჰყვებოდა დვრინითა.
მოხტუნაობდნენ ქურციკნი,
მისი გალობის მოხმობით,
გოგოს ღვთიური მუსიკით
იბნიდებოდნენ ხოხობნი.

უმღერდა დიდს და პატარას,
პირიდან თაფლი სწევთავდა,
მღეროდა, თვალებს ხუჭავდა,
ვერაფერს ვერა ხედავდა.
გლახს უმართავდა გუთანასა,
დათვის უბერტყავდა კუტასა,
საქმეს აძლევდა სუჟველა
უქმსა და ელექურტასა.
თაფლითა, სხვა არაფრითა,
ნაღარითა და დაფითა,
მინდვრის ყვავილთა წვენითა,
მხოლოდ ტკბილითა ენითა.

ქვირის აავსებდა სახნავითა,
კვირს დაუცხოვდას აბხაღსაქსა,
პუწკია მზეთუნახავი
დაარქვეს გოგნი-გოგონა.
პუწკია რატომ დაარქვეს?
მიტომ, რომ ტურებს პუწკავდა,
მზეს მიუშვერდა ტურებს და
თაფლივით გადაულუნწავდა.
ცუღს რასმე რომ შეიტყობდა,
მსწრაფლ მოპუწკავდა ტურებსა,
მისი შემყურე ეშმაკნი
ეფარებოდნენ ბურქებსა.





ხან დილითა და ხან ღამით,
 მხოლოდ მზის სხივის ღეროდან—
 მღეროდა მზეთუნახავი,
 მხოლოდ ხალხისთვის მღეროდა.
 ქალაქს მომრავლდა ცხვარ-ძროხა,
 ქალაქს ფრინველი მომრავლდა,
 პუწკია მზეთუნახავი
 ყველაფერს ყოფდა ტოლადა.
 არც მეტი, არც ნაკლები,
 არც გლახა, არცა მდიდარი,
 ის რომ არ არის ნაქები,
 სხვაზე ნაკლები რით არი?

ქალაქს მომრავლდა ნადირი,
 იყო თვინიერ რომელი,
 კაცს კაცი ერქვა ნამდვილი,
 ცხოველებს კიდე—ცხოველი.
 მხოლოდღა თავის სახელი
 ერქვათ დიდთა და მცირეთა.
 ყველაფერს მზეთუნახველის
 მზის სხივი დასციმციმებდა.
 დიდს ერქვა დიდის სახელი,
 პატარასი კი—პატარას,
 ცოდავს თუ ვიტყვით გამხელილს,
 სატანას ერქვა—სატანა.

რის სატანა სატანა—
 თუ გაიხარა სიკეთით,
 ხან ტაბახმელით ამტყუდდებოდა,
 ხან ქოროლით და კიკეთით.
 ხან ბატნის ქურჭი ჩაიცვა,
 ხან კულზე შედგა გველივით,
 ხან ჩიტის ენა აიცრა,
 ხან მობაკუნდა შველივით.
 და როცა ერთხელ გოგონა
 თვდავიწყებით მღეროდა,
 მღეროდა თავდავიწყებით,
 მხოლოდ მზის სხივის ღეროდან,
 უმღერდა დიდს და პატარას,
 პირიდან თაფლი სწვეთავდა:
 მაშინ არამც თუ სატანას—
 ქვეყნად ვერაფერს ხედავდა.
 ჰოდა, სად იყო, სად არა,
 რა წადილით არ ეწადა,
 მას მიეპარა სატანა,
 აქცია თაფლის წვეთადა.

ერთ გულუკვითელა იადონს
 ის წვეთი ჩაუტლუნწია,
 ახლა იმ ჩიტში ბინადრობს,
 მზეთუნახავი პუწკია.
 დღეს, გულუკვითელა რაცა გვყავს,
 (კანარის ჩიტს რომ იტყვიან—)
 სუყველა სატანასაგან
 დატყვევებული ჩიტია.
 სუყველა გალიაშია,
 სუყველა უბედურია,
 ხან პაწაწინა ფრთას შლიან,
 ისევ ცის უბე სწუპურიათ.
 ერთერთში თაფლის წვეთად ზის
 პუწკია მზეთუნახავი,
 გახსენით კარი მზეთამზის,
 ის თქვენს სიცოცხლეს შეგზარის.
 გახსენით კარი ბინდისა,
 მზის თვალით მოციმციმეთი
 და დაუბრუნეთ შილდისას
 ხვალის რწმენა და იმედი.

იყო და არა იყო რა,
 ძმა იყო თურმე ძმისათვის,
 ვამდლობთ, ბოჩოლა ნიკორა,
 პუწკიას ზღაპარისათვის.



ეპატრიაბა

ვანო ურჯუშელაშვილი

ზაბა, გიგა და ხათუნა და-ძმანი არიან. გიგა ხუთი წლისაა, ზაბა—ოთხისა, ხათუნა—უმც-



როსი ძმის მომდევნოა.

ერთხელ ძმებს დილით ადრე ადგომას განზარაბეს. მამას ვერ გაუბედეს, მაგრამ დედას შეეხვეწნენ, დღეს საბავშვო ბაღში ნუ წაგვიყვანო.

დედა, როგორც იყო, დაითანხმეს.

მამას კი ამის გაგონება არ უნდოდა:

— აბა, ჩემო ვაჟაკებო, წამოდექით სარქა-როზე, ჩაიცვით, პირი დაიბანეთ, საბავშვო ბაღში არ დაიგვიანოთ!

— რა იქნება, დღეს სახლში დავრჩებით!— სთხოვა ზაბამ.

— ხათუნა რომ სულ სახლშია, ჩვენც გვინდა ბებისთან ყოფნა!— დაუმატა გიგამ.

— ხათუნა ჯერ პატარაა, როცა გაიზრდება, ისიც ივლის საბავშვო ბაღში.

— პატარაა, მაგრამ არ გვასვენებს!

— პატარაა და ეპატრება!

— ხათუნას ყველაფერი ეპატრება, ჩვენ კი— არაფერი!— თქვა ნალღიანიად ზაბამ.

— შეიღებო, რა ლმერთი გიწყრებათ, ეს ერთი და გყავთ, უნდა გიყვარდეთ, თავს ევედბოდეთ.

— მაგას ხათუნა კი არა, ეპატრება უნდა ერქვას,— გულნაკლულად წაიღაპარაკა გიგამ.

მამა არქიტექტორი იყო. საღამოობით პატარა სახლებით ქადაქს აშენებდა ხოლმე.

ძმები მაგიდის გარშემო ტრიადებდნენ და ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ.

ერთ საღამოს მამამ გვიანობამდე იმუშავა.

ძიდმორეული ბიჭები დედამ დააწვინა. დილით რომ გაიღვიძეს, ფაციფუცით ჩაიცვეს ტანსაცმელი და მამის სამუშაო ოთახში შეცვიდნენ.

მშობლები სადღაც წასულიყვნენ.

მამამ თავის მაგიდაზე პატარა ქადაქი ააშენებინა. ვიწრო ქუჩების ორივე მხარეს მრავალსართულიანი სახლები გაემწყვრივებინა. ქადაქის შუაგულში მრგვალი მოედანს მწვანე ნარგავები ამშვენებდა.

ძმებმა ქადაქს ირგვლივ შემოულარეს.

— გიგა, რამაზი ქადაქია, არა?— თქვა ზაბამ.

— რამაზია, მაგრამ...— სიტყვა არ დაამთავრა გიგამ, თან ზედი ჩაიქნია, ვითომ მაინც ისეთი არაა, როგორც უნდა იყოსო.

— არ მოგწონს?

— ქუჩები ვიწროა, მანქანები ერთმანეთს ვერ აუქცევენ გვერდს.

— თუ ვგრევა, მოვედანიც პატარაა, გავაფარ-
თოვო!

— კარგი იქნება, მაგრამ მამა რომ გაგვიბ-
რაზღეს!

— ქალაქი ხათუნამ დაანგრის, მამა არ გაუ-
ჯადრებდა,—მოიფიქრა ეშმაკმა ზაზამ.

— მართლა, ხათუნას ხომ ყველაფერი ეპატრი-
ბა!—ტაში შემოკრა გიგამ.

— ხათუნა, მოდი!—დაუძახეს ძმებმა.

— არ მოვად!— მკვახედ მიუგო ხათუნამ.

ძმებმა ხათუნა, როგორც იქნა, შეიყვანეს მა-
მის სამუშაო ოთახში.

— აბა, ხათუნა, თუ კარგი გოგო ხარ, ეს
ქალაქი ააღაგე და საშენი მასალა უჯრაში შეი-
ნახე, მამას ვერ მოუსწრია შენახვა, გაუხარდება.

— რატომაც არ ავაღაგებ,—მიუგო ხათუ-
ნამ.

პატარა ქალაქი მიანგრ-მოანგრიდა და ყველა-
ფერი სწორედ ისე ჩააწყო უჯრაში, როგორც
მამა ალაგებდა ხოლმე.

ხათუნა აბაზანაში გაიქცა, ძმები კი ქალა-
ქის აგებას შეუდგნენ.

როგორც იყო, ერთი ქუჩა ააშენეს, მაგრამ
ერთმანეთს არ აცდიდნენ, ენგროვდათ.

— ფრთხილად, გიგამ, ნუ ჩქარობ,—უთხრა მამას
ზაზამ.

რის ვაიგავდანით ერთი ქუჩა მოაწყვეს, მაგ-
რამ შორიდან რომ შეხედეს, მაშინ შენიშნეს,
რომ სახლები უსწორმასწოროდ დაეგდათ.

— ეჰ, ვერ გავაკეთეთ, დაეშალათ,—თქვა გი-
გამი.

— ვგ ადვილია, აშენებდაა ძნელი,—მიუგო ოფ-
ლის წმენდით ზაზამ.

ორივე ოფლი გაიწურა, დაილაღნენ, არაქათი
გამოეცალათ, მაგრამ ქალაქს ვინ ჩივის, მამის
აშენებულის მსგავსი ერთი ქუჩაც ვერ ააგეს.

ამ ჯახირსა და წვადებში ძმებმა ვერ გაი-
გეს, როგორ გაიღო კარი და ოთახში მამა შე-
მოვიდა.

— აი, თქვე ეშმაკებო, ეს რა ჩაგდენიათ?
ორივე ყურის აწვევის ღირსი ხართ!— შესძახა
გულმოსულმა მამამ.


— მამიკო, ქალაქი ჩვენ არ დაგვინგრევია!—
თქვა სხაპასხუპით ზაზამ.

— მაშ ვინ დაანგრია?

— ხათუნამ!

— ხათუნას ხომ ყველაფერი ეპატრიბა!
დღეად წამოიძახა უმცროსმა ძმამ.

— ჰმ, აი, თურმე რაში ყოფილა საქმე?!—
წაიღაპარაკა მამამ და სინანულით ტუჩილა მო-
იკვირტა.





ყირგიზეთის სსრ

სამეობლო

მ. ჯანაზიანი

ალა-თაუს მთიდან
 გადავხედე ქვეყანას!
 მართალს ვამბობ,
 ვინმეს
 არ გეგონოთ მკვებარა.
 ეს ქვეყანა ჩემი
 სამშობლოა ვრცელი!
 ყველა ქალაქს ენახავ,
 ყველა კუთხე შეღის.
 მომაქანებს თქვენსკენ
 ეს ხალიჩა ჭრელი...
 გამოვფრინდი უკვე—
 ჰერი, ჰერი, ჰერი!..

ქართული
 თხზულებები

ჩემი რესპუბლიკა

თავირაშულ შამალიაძე

აყვავილი და აღორძინდი,
 ჩემო რესპუბლიკავ!
 შენთვის ვ'შრომობ, შენთვის ვიბრძვი,
 შენ შეგხარის თვალი,
 სასურველო, საყვარელო,
 ჩემო ცაე და მიწავ,
 შენ ღამბადე, შენით ვცოცხლობ,
 მმართვეს შენი ვალი.
 შენი მწვანე პურის ყანა
 ტურფად აბიბინდა,
 მინდა მულამ შენ გიქცერდე,
 შენთან ყოფნა მინდა.

თარგმანა გრიგოლ ცაბხლაძემ





ტაჯიკეთის სსრ

ჭიდან ამოღებული მთვარის ამბავი

ტაჯიკური ხალხური ზღაპარი

ერთმა ჩერჩეტმა კაცმა ჭაში მთვარე დაინახა და თქვა: კაცი არ ვიყო, თუ ეს მთვარე ჭიდან არ ამოვიდლო.

თოქს კაცი გამოაბა, ჭაში ჩაუშვა და ამოქაჩა.

კაცი ჭის ფსკერზე ქვეს გამოვლო. ჩერჩეტი მაინც ქაჩავდა და ქაჩავდა. თოქმა ვეღარ გაუძლო და გაწყდა. კაცი გულადმა გაიშხლართა და რას ხედავს: მთვარე ცაშია!



„ამაოდ მიშრომია,—გაიფიქრა ჩერჩეტმა,—მთვარე ჭიდან ამომიგდია და ახლა, ვეგრე, თავის ადგილასაო!“

საბავშვო ბავშვი

შპაით რაჯაზი

ჩემს ყოშლალში არის სახლი ერთი, ყველა სახლზე საყვარელი ჩემთვის... განახლების დღეთა ვარიქრაჟზე, ოქტომბერმა ის აჩუქა ბავშვებს.

თარგმნა გივი ძნელაძე





თურქმენეთის სსრ

ზეზუანკა

საქართველოს
საზღვრო დაცვა

ა. რახმანოვი

ბაბუაწვევრას რა მოსდის,
ვერ გამოგია რა ხდება...
ჯერ ყვითელია, მერე კი
ფუმფულა, თეთრი გახდება.

ვიღე, ვუცქერდი გულდაგულ
თავმრგვალა მინდვრის დაბუსა,
რომ დაუბერა ნიავემა
უწვევროდ დარჩა ბაბუა!

თარგმნი კ. გოგიაშვილი



თურქმენული ხალხური ანდაზები

ვინც თავის ნაკლს მალავს, იგი მას ვერასოდეს გამოასწორებსო.

ყველა მელა თავისი კუდით ამაცობსო.

მომთმენი მთასაც გაასწორებსო.



ჩაქსაქა?

ქაიუმ ტანგრიყულიევი

მე და რეჯებყულას ძალიან გვიყვარს ნახატებიანი წიგნების თვლიერება. ერთხელაც სურათებს ვათვალღიერებთ:

— ეს რა არის?—ვკითხე ერთ ნახატზე.

— ცხენია!—მიპასუხა მან.

— ეს რაღაა?

— მანქანაა.

მერე კიდევ ერთ ნახატს დავადგე თითი.

— აბა, ეს რაღაა?

— აქლემი, გველს ქემს,—მომიგო მან.

თქვენ თუ მიხვდებით, რა იყო იქ ნახატული?!



ხევიდან უსკები

მზია ხეთაშური

ერთი თმაქოჩორა ბიჭი იყო, აღმა-დაღმა სიარული უყვარდა. ამიტომ ხეტიალა შეარქვეს.

ერთხელაც, ბევრი ხეტიალის შემდეგ, დიკაკლისხის ქვეშ ჩამოსვენა. იჯდა და და თან კაკლებს კროლავდა. რა ენაღველებოდა რა, კაკლისხეს კაკალი არ აკლდა, თვითონ კი პირის გემო ამ კაკლისხის ქვეშ სხვა დროსაც დაუსვენია ხეტიალით დაღლილს, მაგრამ ახლა რატომღაც იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რატომ იღვა კაკლისხე ერთ ადგილზე. ადგა და ხეს ჰკითხა:

— ერთ ადგილზე რომ დაჩქობილხარ და ფეხს არ იცვლი, ვითომ სიარული არ გირჩენია?

— არა, — უპასუხა კაკლისხემ, — ხეტიალი რომ დაეჩქო, ფესვებით მიწას მოვწყდები და ნაყოფსაც ვეღარ მოვისხამ.

— ყველა ხესა აქვს ფესვები?

— ყველას.

— ადამიანს რატომ არა აქვს?

— ე, შენ რა იცი, ფესვები ადამიანსაც აქვს!

— მაშ როგორ დადიან? — პირი დააღო ხეტიალამ.

— დადიან, მაგრამ ფესვებით მიწას არ სცილდებიან.

— აბა, მე სადა მაქვს ფესვები?

— შენ არც გეჩნება, იმიტომ, რომ ზარმაცი ხარ. სხვები ერთ ადგილას შრომობენ და ფესვებიც იქა აქვთ.

ხეტიალა ჩაფიქრდა. წამოვიდა და ერთი პატარა მიწის ნაჭერი აიჩრია, თავს არ იღებდა, შრომობდა, მარგლიდა, რწყავდა. გავიხედოთ და, ხეტიალას კარ-მიდამოზე მშვენიერი ბალი აშრიალდა. ყველას უკვირდა, ხეტიალა როგორ შევლია ხეტიალსაო. ხეტიალას კი ის უკვირს, რატომ არ მიჩნდება ფესვებიო. ყოველწუთს აპირებს კაკლის ხესთან გაქცევას და კითხვას, მაგრამ იმდენი საქმე აყრია თავზე, დღემდე ვერ ახერხებს წასვლას; ჰოდა, მითხარით ერთი, ხეტიალა ისევ ხეტიალაა?!



ყუჩაქვიზა და მადაკურა



აგგროსი ღონისაძე

ის კურდღელი, უთენია
რომ აუყუა მადლობს დილით,
ახლა აგურ მიცუნცუნალებს,
დაღლილი და გაოფილი.
უცებ შელა შეეფეთა,—
მიესალმა, როგორც ნაცნობს:
— რა მთლად თაფლი გაწუწუესნარ,
არ გაციფდე მანც, კაცო.

— რა ჟენა, ჩემო ნათლიმაძაჲ,
შეშოდგომა უჟვე გადის;
აი, აგურ, იმ წაბლნარში
სახლს ვაშენებ სამთრისათვის.
— ნეტა ერთი შენც მოვცლია!—
ჩაიციანა კუდა-შელაძ,
გამობრუნდა არსეინად,
თავისი გზა გაბავრშელა.

სამთარია, თოვს და ბარდნის,
გადათორდა სულ მთლად ირგვლიჲ
ბაღნა-ბაღი, მთა და ველი,
ტყე და ჭალა, სე და ჩირგვი,
საენე და საეენასე,
მთა და ბარი, გზა და მარა...
ერთი სიტყვით, ეჟელაფური
თოვლის ფიფქით დაიფარა.
აგურ ჩვენი მელაჲჲჲ!
არც სახლი აქვს და არც კარი,
ცივა, ცივა, აკანკალებს,
წაბლნარისკენ მიიჩქარის.
აი, სახლიც ეურცქეიტანს,
შედგა მელა, შეისყენა,
— კაჲჲჲ!—გარსე ავაჲჲჲებს
მორიდებით, ნელა-ნელა.



ჭრრ... გაიღო სახლის კარი,
გამოხედა ეურცანცარამ,
ჯერ ულვამში ჩაიღიძა,
მერე წარბი შეიყარა.
მერე ისეჲ გაიღიძა,
მიესალმა, როგორც ნაცნობს:
— მოელი ტანით გაკანკალებს,
არ გაციფდე მანც, კაცო!
— რრ... რა ჟენა, ეურცანცარაჲ,
ეინა დადგა იმისთანა—
გარეთ აღარ გაისვლეჲ,
მთლად მელ-რბილმი გამატანა.
გამასენდა—სახლს აგებდი,
მარტო ჭამაც არის მნელი,
მოჟედი, რომ მოტეხმართ,—
წამოგეჲრა რამეს სელი.
— დაჯეინდა ნათლიმაძაჲ,—
გაიღიძა ეურცანცარამ,
ულვამეში აცმაცუნა,
მერე წარბი შეიყარა,
მერე ისეჲ გაიღიძა,
ბეჲჲე დაჲჲრა თათი ნაცნობს;
— მოდი, სახლი უჟვე მსად მქეჲს,
არ გაციფდე, მანც, კაცო!



გავზვისლიმილა კაცი და ბოლოკის კაცუნა

გუგული ბოგონიძე

გავეთეს და იქვე კუთხეში მიავდეს...

ჯერ ტანი, თავი, ხელებიც მიუშვარეს, მერე თავ-
ლებიც რომ გაუყეთეს, გაშლილ სუფრასთან მიმსხ-
ლარი მზიარული სახეები დაინახა.

ბოლოკის კაცუნას თავი იმიტომ ჰქონდა, რომ
ფიქტა. ჰოდა, იფიქრა კიდევ:—რარივად გაუზარ-
დათ ჩემი დანახეაო...—მერე ტუჩებიც დაუზატეს,
თეთრი, მრგვალი სახე ღიმილმა დაუფარა: ყველას
სათითაოდ ხელს ჩამოვართმევო!—მოეძალა სურვი-
ლი. ასანთის ფეხებმა ამოძრავებთ მოინდომეს, მაგრამ
რუმბივით მუცელს ვერ გაუძღეს და კაცუნა მაგი-
ლიდან ძირს ჩამოვარდა. ანაზღად ვილაკამ ფეხი
გაკრა და კარადის ქვეშ შევერდა. კარგია რომ
თავი არ მოძვრა, უთავოდ აბა, რაღა იქნებოდა?
ვერც ვერაფერს იფიქრებდა და ვერც ვერაფერს
დაინახავდა.

ფელო კარადის ქვეშ ბოლოკის კაცუნა და უყვირ-
და:—რატომ ვერაინ შეამჩნია ჩემი გაუჩინარება,
მათ ხომ ძლიერ, ძალიან ძლიერ გაუზარდათ ჩემი
დანახეაო.

კიდევ კარგი შორს არ შევარდა. აქედან შეეძლო
ოთახისათვის თვალი მოველო, ზეტისთვისაც შეეხე-
და და ხეებისთვისაც ეტკირა.

იწვა გულამბა, კედელზე თავიღებულნი და მზიარ-
ულ სტუმრებს ათვლიდებოდა. უსმინა, უსმინა და

მათი საუბრიდან მიხვდა, რომ მისი შემქმნელი
სახლის პატრონი იყო. იგი სახით მისკენ სულ
ბავშვურად იღიმებოდა. სტუმრები თავყვანისცემით
და მოწიწებით სვამდნენ მის სადღეგრძელოს.

ბოლოკის კაცუნამ მოისმინა: მასპინძელმა თურმე
წინა კვირას ორი დიდებული მამაკაცი გამოლანძღა
იმისთვის, რომ მათ გალიით ჩაიტყვი მოაკავედათ. წი-
ნადილით კი ერთ ქალიშვილს უსაყვედურა:—პეპლებს
ნუ დასდევო!

მასპინძელი ღიმილით ისმენდა ნათქვამს, ღიმი-
ლითვე იხილიდა სამადლობელს:

— ღვინოს ვერ შევსებ, ამაღამ საქმეები მაქე-
სია,—ბოდიშობდა. დამწვინდობებისას საოცრად ლა-
მაზი, პეპელას ფრთებივით მოხატული ხელოვნური
ყვავილები ჩამოაფრიაგა სტუმრებს.

— რისგან აკეთებ ნეტავ ამ ყვავილებს?...—
ხმაშადა კი ასე თქვა:—უჰ, რა ლამაზები არიან...
შბოლოდ პოეტური, სათუთი სულის ადამიანს შეუძ-
ლია შექმნას ასეთი საოცრება. იმას, ვინც სიბრა-
ლულით ქიანქველასაც კი ვერ დააღვამს ფეხს.

— მართალია, მართალია!—შესძახა ყველამ. ამ
შედახილში შშიშარა კურდღელივით გადაირბინა
ჩურჩულმა:—მაინც რისგან, რისგან აკეთებებს?..

ყველანი რომ წაიღინენ და ოთახში სიჩუმე ჩა-
მოვდა, ბოლოკის კაცუნამ გაიფიქრა: ახლა კი შეიძ-
ლება დაეძინო და ის-ის იყო ძილის კაცს უნდა
წაწყლოდა ძილის ქვეყანაში, რომ ყრუ ფოთაფუთქი
და წვეტიანი შემოგვსა:—ნეტავ რა არის?—გაიფიქ-
რა. სწორედ ამ დროს მასპინძელმა გაჯავრებით წაიბ-
ზუქუნა:

— ახმურდენენ, ჰავრი აღარ ყოფნით, დროა საქ-
მეს შეველდე,—ფანჯარაში თავი გადაპყო, კარი გა-



ნახატები გრიგოლ გავრინდაშვილისა

მოალო და გაიხედა. მერე ორივე საიშედოდ ჩარაზა: სახეზე ხელი მოისვა და, ჰოი, საკვირველებზე! ბოლოკის კაცუნას ვაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა, კაცს ხელში სახიდან ჩამოხსნილი ნიღაბი ევირა, ბავშვის-ლიმილა ნიღაბი. იღვა ცხენიეთ ნესტოებგამომე-რილი და ისე ილიმებოდა, რომ ბოლოკის კაცუნას შეაკანკალა, თითქოს ალესილი დანა დაუსვსო ტანზე. გულმა ბაგაბუფი დაუწყო. სუნთქვაშეკრული აღდევებდა თვალყურს ნიღაბჩამოხსნილ მისპინძელს.

მერე მაგიდაზე ყოთი შემოღვა და ფრთხილად, თითქოს თავი კატას ეპარებოდა, თავი ახადა. იქიდან ხატულა პეპელა ამოაფრთხილა. შუშაზე დაღო. უაზრო თვალეებით მიმოიხედა და უცებ ორივე ფრთა მოაგლიჯა, ისე რომ—წამში ერთხელაც კი არ დაუნახმებია.

— ვაი! — დაიწროინა საცოდავად პეპელამ და სული დალია. ყველას ასე სათითაოდ დააკალო

ფრთები... მერე დაწინწკლული პაწია ჩიტის კვერცხები მოიტანა, მიაშტერ-შოამტერია და პეპელას მისაგან, ჩიტის კვერცხების ნაქუტებით გულმობატუ-ლი ყვეილები გააკეთა.

იმ დამეს ბოლოკის კაცუნას ლაპალუპით ჩამოს-ლიოდა ცრემლები... პეპლების მივედრებელი ხმა ესმოდა და ესმოდა...

ლაშაზო, მრგვალი სახე უტბად დაუბატარაედა და დაუქნა. ტუტები ისე დაეღრიცა, რომ ღიმილი სულ მთლად წაეშალა. ეგლო ქირვეულ ბავშვიეთ ხელ-ფეხგაფარჩხული, ცოტაც და, აყვირდებოდა...

— ღრკ-იი, ღრკ-ი! — აჭრიალდა დილით კარი და კაცი ბავშვისღიმილა ნიღბით გარეთ გაეიდა.

— მოდის!... — ახმაურდნენ ვახონებში ყვეილები.

— ნუ დასდევ პეპლებს! — დატუქსა კაცმა პატარა გოგონა, — მოეშვი, იცოცხლონ... საბრალო პეპ-ლები!..

ჩვენი კრუხი

ილია აროსია

მოადის კრუხი ეზომი
წიწილეების ამალით,
რას დააკლებს ქორი —
ბრჭყაღბასნი და ფრთაშალი.
მოსარკულ ცას მანც
ცალი თვალთ ასედა,
დაინას ქორი,
ერთი წაშით გასეკდა.
მერე უცებ რისხვით
გაიფოფრა, გააკდა,
მაგრამ იმდენ წიწილას
როგორ დაიფარაყდა, —
იმის კრიას-კრიასზე —
ჩემი ბებო დარიყო
აიფანსე, ბედად,
რომ არ გადმოძღვარიყო.



ნახატი ელისო ცაბაძისა

დიდი კონა

ნოღარ შამანაძე

გამიგონე, შვილო, გოა,
როგორც ნიკამ გამიგონა,—
წაცუნცუდრი ყანაში და
მოიტანე ჩადის კონა.
გიამ დედას გაუგონა,
წუთიც აღარ დააყოვნა,
გაიქცა და მოიტანა
ძმის კონაზე დიდი კონა.



თაგვის საბანი

ლილა სხვილია

ღელვის ხიდან ფოთოლი
ჩამოეგდო ქარსო;
გაეხარდა თავუნას—
რა საბანი მაქვსო,
დავწვები, დავიხურავ,
დავიმადგ თავსო,—
კატა ველარ იპოვის
ჩემს გზასა და კვადსო!




გაგსაჲ ვერ მოუთმენია

შალვა შუბლაძე

ბატი ჭუკებს ბოსტნისაკენ
მიუძლოდა უთენია.
პაწაწინა წნელით ტაგუს
ბატი გადმოუღენია,
ბატი გაგულისებულა,
ტაგუ-ბიჭი უფრენია,—
შარვლის ტოტში მიწვეენია
და კინალამ უკბენია.





თოფი ხისა, ტყვია წყლისა,
ხეს ეცა და ქვა გაიქცა.
ხალხური

მისართი

ავთანდილ მებრალიშვილი


თავკან და ვირთხას რა იჭერს?
კატა და.....

კედელს რითი ვაძენებთ?
ქვით, ალიშით, ა.....

ადრე ზურს რითი მკიდნენ?
ცულითა და ხ.....

საბჭელს რითი მივირთმევთ?
კოჭსითა და ხ.....

მავსაბახი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები გარეული ფრინველების სახელწოდებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ საქართველოს ყველაზე დიდი ტბის სახელი.

შეადგინა ქ. მახარაძის სკოლის მოსწავლემ ნატო ქლენტაძემ.

ამოსწრა

სამ ბელს გაუყო თანაბრად
დათემა ცხრა კილო ვრბო,
გამოიციანი; თვითეულის
რამდენი ქილა ვრგო?!

გიორგი მებრალიშვილი

ცაკვა ზყუზი

ავთანდილ გურგანიძე

ფრინველები ტაძს უკრავენ
 სვებიდან,
 მალალ ციდან;
 სანსაცილოდ ცეკვავენ დათვი,
 ბაჯბაჯით და
 ბარბაცითა;
 მელაკუდამ ფოთლებისგან
 მთელი მღელა გადაწმინდა,
 ისე მარდად უსვამს ცერებს,—
 წულა-მესტა გადაცვითა.



მეჩუნი

ნახტი გრიგოლ გაფრინდაფვილისა



76055



ნახატ მიხეილ სოლოვიოვისა

დააკვირდით ამ ნახატს და გამოიცანით რა და რა საგნები დახატა ცხრაკლასტულამ.

შთავარი რედაქტორი მუხრან მახარაძე

სარედაქციო კოლეჯია: ანზორ აბულაშვილი, მალხაზ აბოშაძე, ქაქაბერი ვიგიაშვილი, ლეონა პრამი, მამაბალო შიპოშვილი, ჯიშოზა მუჭიანი, ვიორაგი რიგინიშვილი (საბ. რედაქტორი), იოსებ ძაბიბაძე (პ/მ, მდივანი) რედაქტორი ლაბინაშვილი, გივი გვილაძე

საქ. აღკ. ც. - ისა და ვ. ო. ლენინის სახელობის პაიწიერთა ორგანიზაციის რეგისტრაციული საბუთი ფურცლი. ელახე ნახტი თანაზ ხუციშვილისა. გამოცემა 80-ე წელი.

ტიპოგრაფიკული ცენტრი

მისამართი: ტყეშელის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14 ტელ: მო. რედაქტორის — 93-41-30, 93-96-15, პ/მუ მდივანის — 93-10-32, 93-98-17; საბ. რედაქტორის — 83-98-18; განყოფ. — 93-98-19; საბჭოთა — 93-98-16

ვალუტა ასაქმობად 15/IV-77 წ., ზელომწერლობა დასაბუტლად 11/V-77 წ., ქილადის ზომა 80x90, ფიხ. ნაბ. ფურც. 25, ტრაჟო 167.000. ზეც. № 1354. „დილა“ № 7, ნა გრუივნიკო ხაზკე. ფასი 20 კაბ.

საქ. კ. ც. - ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии